



ილია ჭავჭავაძის „განდევილისა“ და მისი ინგლისური თარგმანის ანალიზი
მონა ბეიკერის ეკვივალენტობის თეორიის საფუძველზე

ნათია ჯაბანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ანგლისტიკა

ხელმძღვანელი: ელენე ტატიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ჯაბანიშვილი

15.01.2023

აბსტრაქტი

ნაშრომში გაანალიზებულია ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ და მისი ინგლისურენოვანი თარგმანი (მთარგმნელი: მარჯორი უორდროპი) მონა ბეიკერის ეკვივალენტობის თეორიის მიხედვით. განხილულია სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების სამიზნე ტექსტში გადატანის თავისებურებები და ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად არის შენარჩუნებული მათი ფუნქცია მხატვრულ ტექსტში. ანალიზისას ცალკე გამოვყავით, ერთი მხრივ, მთხრობელისა და, მეორე მხრივ, პერსონაჟთა მეტყველება და დავაკვირდით მათი ენობრივი, სტილისტიკური და კომპოზიციური ასპექტების გადატანის ხერხებს ინგლისურ თარგმანში. ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული ფორმები. წყარო და სამიზნე ტექსტების სტილისტიკური განზომილების შედარებისას, სიტყვის, სიტყვათშეთანხმებისა და პრედიკაციული სტრუქტურის საშუალებით წარმოდგენილ მხატვრულ ხერხებთან ერთად განვიხილეთ ონომატოპეისა და ალიტერაციის შემთხვევებიც.

ანალიზმა აჩვენა, რომ სამიზნე ტექსტში მაქსიმალურად არის შენარჩუნებული წყარო ტექტის ენობრივი ერთეულების სემანტიკა და მათი სტილისტიკური და კომპოზიციური ფუნქცია. იდიომებისა და მხატვრული ხერხების შემთხვევაში, როცა არ არის შესაძლებელი ფორმალური ეკვივალენტის მოძიება, მთარგმნელი მიმართავს ტრანსფორმაციას ან კომპენსაციას. შენარჩუნებულია პერსონაჟთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი რეგისტრი. ასევე, მეტწილად შენარჩუნებულია ე.წ. თავისუფალი დისკურსის სახეები.

საკვანძო სიტყვები: ილიას „განდეგილი“, მარჯორი უორდროპი, ეკვივალენტობის თეორია, მეტყველების სახეები, მხატვრული ხერხები

Analysis of the Poem “The Hermit” by Ilia Chavchavadze and Its English Translation in the Light of Mona Baker’s Theory of Equivalence

Abstract

The thesis analyzes Ilia Chavchavadze's epic poem "The Hermit" and its English translation (by Marjory Wardrop) according to Mona Baker's theory of equivalence. It aims to discuss the peculiarities of transferring language units of different levels into the target text (TT) and find out to what extent the function they have in the source text (ST) is preserved. Separate sub-chapters are devoted to the comparative analysis of linguistic, stylistic and compositional aspects of the narrative and the different types of speech representation in ST and TT. When comparing the stylistic dimension of the source and target texts, the cases of onomatopoeia and alliteration are also discussed, along with literary devices represented at the level of word, phrase or predicative structure.

The analysis showed that the translator aims to achieve semantic and even structural equivalence where possible, or employs transformation and compensation strategies. Types of discourse representation are mostly preserved, with a few cases of transformation. The register in the character discourse is likewise preserved.

Keywords: “The Hermit” by Ilia Chavchavadze, Marjory Wardrop, theory of equivalence, speech representation, literary devices